ხელშეკრულება #349

(სახელმწიფო შესყიდვების შესახებ)

თბილისი 18 ივლისი 2016წ.

ერთის მხრივ სსიპ „ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის" (შემდგომში „შემსყიდველი") მისი გენერალური დირექტორის მოადგილე პაატა იმნაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს "ჯი-თი ჯგუფი" (შემდგომში „მიმწოდებელი") მისი დირექტორი გიორგი ალთუნაშვილის სახით, აფორმებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საფუძველი

1.1 „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონი (მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს'" ქვეპუნქტი).

1.3 დაფინანსების წყარო: GDD - "საქართველოში ვირუსული ჰეპატიტების რეალური ტვირთის შემაფასებელი ეპიდზედამხედველობის გაძლიერების'' დაფინანსების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების ობიექტი

2.1. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია: ერთი ცალი პროექტორი (EPSON EB-965HPortable 3LCD projector - CPV 38652100) შესყიდვა, (შემდგომში „საქონელი") დანართი #1-ის შესაბამისად რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 2490 (ორი ათას ოთხას ოთხმოცდაათი) ლარს (დღგ-ს გარეშე).

3.2. ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასის შეცვლა დასაშვებია მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში, როდესაც:

ა) მხარეთა ურთიერთშეთანხმების შედეგად მოხდება ერთეულის ფასის შემცირება;

ბ) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას.

4. ხელშეკრულების კონტროლი

4.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს – ცენტრის სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების შესრულების კონტროლის ჯგუფი, ტექნიკური უზრუმველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისთი თედორე ქომეთიანი და უფროსი სპეციალისტი დავით ზორიკოვი; ლოგისტიკის სამმართველოს სპეციალისტი თამარ ბადურაშვილი, რომლებიც „საქონლის" მიღებისას წარმოქმნილი საჭიროებიდან გამომდინარე, განახორციელებს ინსპექტირებას, რაც გულისხმობს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს.

4.2. ინსპექტირების განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა საჭირო საბუთის წარდგენა, ფინანსური ხარჯის და საორგანიზაციო საკითხების გადაწყვეტა ეკისრება „მიმწოდებელს".

5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და საგარანტიო პირობები

5.1. „საქონლის" უხარისხობის შემთხვევაში „შემსყიდველი" წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს" წუნდების მიზეზების მითითებით. „მიმწოდებელი" საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფს შესყიდვის ობიექტის ნაკლის აღმოფხვრას „შემსყიდველის" ინტერესების გათვალისწინებით.

5.2. „საქონლის" საგარანტიო/ვარგისიანობის ვადა მოწოდების მომენტისათვის უნდა იყოს დანართი N1-ში მითითებული ვადების შესაბამისად.

5.3 „მიმწოდებელი" ვალდებულია მიწოდებული „საქონლის" წუნდების შესახებ წერილობითი შეტყობინების მიღებიდან არაუმეტეს 10 სამუშაო დღეში განახორციელოს წუნდებული

საქონლის შეცვლა/ჩანაცვლება და შეკეთება „შემსყიდველის“ მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.
5.4. სწორი ექსპლუატაციის პირობებში „მიმწოდებელმა“ უნდა უზრუნველყოს გამოვლენილი დეფექტების შეცვლა/ჩანაცვლება და შეკეთება.

6. საქონლის მიწოდების და მიღება-ჩაბარების პირობები

6.1. „საქონლის“ მიწოდების ადგილი: თბილისი, მ. ასათიანის ქ. N9.
6.2 „საქონლის“ საბოლოო მიწოდების ვადაა, ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 დღე.
6.3. „საქონლის“ მიწოდებისას „მიმწოდებელმა“ „შემსყიდველს“ უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები:
6.3.1. „მიმწოდებლის“ სასაქონლო ზედნადები საქონლის აღწერით, საქონლის რაოდენობის, ერთეულის ფასის და საერთო ღირებულების მითითებით;
6.4. „მიმწოდებელმა“ უნდა უზრუნველყოს „შემსყიდველისათვის“ ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტების წარდგენა „საქონლის“ დანიშნულების ადგილზე მიწოდებისთანავე. პასუხისმგებლობა „შემსყიდველის“ მიერ აღნიშნული დოკუმენტაციის დაგვიანებით მიღების ან მიუღებლობის შედეგად წარმოქმნილი ყველა ხარჯებისათვის ეკისრება „მიმწოდებელს“.
6.5. ფაქტიურად მოწოდებული საქონლის მიღება–ჩაბარება განხორციელდება ხელშეკრულების მე–4 მუხლიით განსაზღვრული კოორდინატორის ან უფლებამოსილი პირის მიერ შედგენილი ინსპექტირების აქტის საფუძველზე მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი და დამოწმებული მიღება–ჩაბარების აქტით (რომელიც შედგენილი იქნება მოწოდებული საქონლის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ერთეულის და შესაბამისი საერთო ფასის მიხედვით).

7. ანგარიშსწორების წესი, ფორმა და ვადები

7.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო ანგარიშსწორება „მიმწოდებლის“ საბანკო ანგარიშზე „საქონლის“ მიწოდების შემდეგ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.
7.2. ანგარიშსწორების განხორციელებისათვის „მიმწოდებელმა“ უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები: სასაქონლო ზედნადები საქონლის აღწერით, საქონლის რაოდენობის, ერთეულის ფასის და საერთო ღირებულების მითითებით.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი
8.1. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება „საქონლის“ ხარისხის, საქონლის ვადის ან/და მიწოდების პირობების გაუარესების გამო, აგრეთვე მე-11 მუხლით გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში;
8.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული "საქონლის" ღირებულების დროული გადარიცხვა "მიმწოდებლის" საბანკო ანგარიშზე;
8.3. „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია მოსთხოვოს „შემსყიდველს“ „საქონლის“ ღირებულების დროული გადარიცხვა მის საბანკო ანგარიშზე;
8.4. „მიმწოდებელი“ ვალდებულია: უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ხარისხის „საქონლის“ მიწოდება "შემსყიდველისათვის", ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესაბამისად.

9. პირგასამტეხლო

9.1. ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გადაცდენის, ასევე მე-8 მუხლით გათვალისწინებული სხვა პირობების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ს ოდენობით.

9.2. ხელშეკრულების მე-7 და მე-8 მუხლებით გათვალისწინებული დარღვევათა გარდა, სხვა პირობების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევი მხარე იხდის პირგასამტეხლოს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს ოდენობით.
9.3 იმ შემთხვევაში, თუ ერთი მხარის მიმართ პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს მიყენებული ზარალის ანაზღაურება.
9.4 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
9.5 მხარეები ვალდებულებას იღებენ უზრუნველყონ პირგასამტეხლოს თანხის გადახდა წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.

10. ფორს-მაჟორული სიტუაცია

10.1. ხელშეკრულების საფუძველზე არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს მეორე მხარის წინაშე და თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ (ნაწილობრივ) შესრულების გამო, თუ ამის მიზეზი გახდა საგანგებო ხასიათის მქონე გადაულახავი ძალა, რომლის წარმოშობაზე ხელშეკრულების მონაწილე მხარეები პასუხს არ აგებენ და რომლის არსებობის ან წარმოშობის შესახებ ხელშეკრულების დადების მომენტში არ შეეძლოთ სცოდნოდათ.
10.2. გადაულახავ ძალად ჩაითვლება შემდეგი (და არა მხოლოდ):
ა) სტიქიური უბედურებანი (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, შტორმი და სხვა);
ბ) გამოცხადებული ან გამოუცხადებელი ომი, სამოქალაქო არეულობა, ნებისმიერი სახის სამარი მოქმედებები, საგანგებო მდგომარეობა;
გ) ეპიდემიები;
დ) ბლოკადა ან ნებისმიერი ეკონომიკური ემბარგო;
ე) ხელისუფლების ნებისმიერი ერთეულის ან ხელისუფლების მიერ საამისოდ კომპეტენტურად განსაზღვრული ორგანოს გადაწყვეტილება და ისეთი ნორმატიული აქტის გამოცემა, რომელიც ზემოქმედებს მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და ცვლის, წყვეტს ან აჩერებს ხელშეკრულების დებულებებსა და პირობებს.
10.3. ფორს-მაჟორული მოვლენა დადასტურებული უნდა იქნეს კომპეტენტური ორგანოს მიერ.
10.4. ფორს-მაჟორული მოვლენების წარმოშობის შესახებ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის ხელთ არსებული საკომუნიკაციო საშუალებით (ტელეფონი, ფოსტა, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, კურიერი და სხვა).
10.5. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობა ავტომატურად არ იწვევს ხელშეკრულების გაუქმებას. მხარეები ვალდებულნი არიან განსაზღვრონ წინამდებარე ხელშეკრულების ფორს-მაჟორულ მოვლენებთან მისადაგების საკითხი.
10.6. ფორს-მაჟორული გარემოებების შეწყვეტისთანავე მხარეები დაუყოვნებლივ აგრძელებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.
10.7. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის პირობებში, ვალდებულებების შესრულების პერიოდი შეჩერდება იმ დროით, რა დროსაც გასტანა ასეთმა გარემოებებმა თუ მხარეთა შორის არ იქნა მიღწეული სხვაგვარი შეთანხმება.
10.8. მხარე არ თავისუფლდება პასუხისმგებლობიდან, თუ კი ფორს-მაჟორული მოვლენის დადგომა გამოწვეულია მისი ბრალით, ან ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება შესაძლებელი იყო ასეთ გარემოებათა დადგომამდეც გონივრულ ვადებში.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11.2. ხელშეკრულების 11.1 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აღნიშნულის თაობაზე აცნობოს წერილობით, არაუგვიანეს 15 სამუშაო დღით ადრე.

11.3. წერილობითი შეტყობინება არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან ხელშეკრულების შეწყვეტამდე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. მხარეთა შორის წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. "შემსყიდველმა" და "მიმწოდებელმა" ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი, არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

12.3. თუ მხარეები ვერ შეძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს საქართველოს შესაბამის სასამართლოს.

13. სხვა პირობები

13.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.

13.2. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.

13.3. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.

13.4. ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების და ა. შ. თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.

13.5. კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.

13.6. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია სამ ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, რომელთაგან თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა. ხელშეკრულების ორი ეგზემპლარი ინახება „შემსყიდველთან", ხოლო ერთი ეგზემპლარი - „მიმწოდებელთან".

13.7. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შეტანილია წერილობითი სახით და ხელმოწერილია ორივე მხარის სრულუფლებიანი წარმომადგენლის მიერ.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. ხელშეკრულება შედის ძალაში მხარეთა მიერ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის თარიღიდან.

14.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2017 წლის 1 სექტემბრის ჩათვლით.

14.3.ხელშეკრულების მოქმედების ვადებში ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

14.4. ურთიერთობა მხარეებს შორის წყდება მხარეების მიერ ყველა ვალდებულებათა შესრულებისა და დებიტორულ-კრედიტორულ დავალიანებათა დაფარვის შემდგომ.

15. დამატებითი პირობები

15.1. ხელშეკრულება დგება სამ თანაბარძალოვან ეგზემპლიარად, საიდანაც ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა „მიმწოდებელს“.

16. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

სსიპ „ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“
თბილისი, მ. ასათიანის ქ.9
საიდენტიფიკაციო კოდი 211324351
თბილისი, სახელმწიფო ხაზინა
ბ/კ TRESGE22
ა/ა GE24NB0330100200165022
გენერალური დირექტორის მოადგილე:

პაატა იმნაძე

ბ.ა.

„მიმწოდებელი“

შპს „ჯი-თი ჯგუფი“
მისამართი:ქ.თბილისი, მარჯანიშვილის ქ. #65
საიდენტიფიკაციო კოდი 404494695
საბანკო რეკვიზიტები: სს „თი ბი სი ბანკი“
ბანკის კოდი TBCBGE22
ა/ა GE35TB7478136080100003
დირექტორი

გიორგი ალთუნაშვილი

ბ.ა

დანართი #1

დასახელება	აღწერა	რაოდენობა	საერთო ფასი დღგ-ს გარეშე	მწარმოებელი კომპანია/ქვეყანა	საგარანტიო ვადა	მიწოდება
პროექტორი EPSON EB-965HPortable 3LCD projector	ტექნოლოგია: 3LCD ან უკეთესი სიკაშკაშე: არანაკლები 3,500 Lumen (არანაკლები 2,400 Lumen ეკონომიურ რეჟიმში)რეზოლუცია: XGA, 1024 x 768, 4:3კონტრასტი: არანაკლები 10,000 : 1 ლამპის მუშაობის ხანგრძლივობა: არანაკლები 5,000 საათი ჩვეულებრივ რეჟიმში (არანაკლები 6,000 საათი ეკონომიურ რეჟიმში)ფერების რეპროდუქცია: 1 მილიარდ ფერზე მეტიპროექციის მაქსიამალური დიაგონალი: 7,5მ მეტიდაკავშირება: VGA in, RGB in, S-Video in, Component in, Composite in, HDMI in, Wireless LAN IEEE 802.11b/g/n , USB 2.0 Type B, USB 2.0 Type Aწონა: არაუმეტესი 2.5კგხმაურის დონე: არაუმეტესი 37dB ჩვეულებრივ რეჟიმშიჩანთა:კიდისტანციური მართვის პულტი: კი	1	2490.00	Epson/ჩინეთი	12 თვე	ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 დღის ვადაში

დირექტორი ---------- გიორგი ალთუნაშვილი

ბ.ა.